

შპს კოსმოსი

ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის 27 დეკემბრიდან
(რეგისტრაციის თარიღი)
2017 წლის 31 დეკემბრამდე
პერიოდისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს კოსმოსის მფლობელს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს კოსმოსის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2016 წლის 27 დეკემბერიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2016 წლის 27 დეკემბერიდან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. ეს უკანასკნელი ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ დასკვნას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით ხელმძღვანელობის ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მიმოხილვაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენი საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
21 იანვარი, 2019 წელი



შპს კოსმოსი


დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენი საფარიანი


შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
21 იანვარი, 2019 წელი

შპს კოსმოსი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2017 წელი
აქტივები		
ძირითადი საშუალებები		8
გრძელვადიანი აქტივები		8
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		100
გაცემული სესხები	9	22,797
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		4
მიმდინარე აქტივები		22,901
სულ აქტივები		22,909
კაპიტალი	10	
საწესდებო კაპიტალი		195
აკუმულირებული ზარალი		(7,131)
სულ კაპიტალი		(6,936)
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	318
საგადასახდო ვალდებულებები	13	2,301
ბანკისგან მიღებული ოვერდრაფტი	14	1,200
სესხები და კრედიტები	14	26,026
მიმდინარე ვალდებულებები		29,845
სულ ვალდებულებები		29,845
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,909

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-29.

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2016 წლის 27 დეკემბრიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	2016 წლის 27 დეკემბრიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შემოსავალი	5	23,825
გაყიდვების თვითღირებულება	6(ა)	(29,209)
ბრუტო შემოსავალი		(5,384)
სხვა შემოსავალი		57
ადმინისტრაციული ხარჯები	6(ბ)	(581)
მარკეტინგის ხარჯები	6(გ)	(113)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6(დ)	(930)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		(1,567)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		(6,951)
ფინანსური შემოსავალი		1,529
ფინანსური ხარჯი		(1,709)
წმინდა ფინანსური ხარჯი	8	(180)
ზარალი დაბეგვრამდე		(7,131)
საგადასახადო ხარჯი		-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		(7,131)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 21 იანვარს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელი მოაწერეს:

არჩილ კახიძე

გენერალური დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10-29.

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2016 წლის 27 დეკემბრიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	2016 წლის 27 დეკემბრიდან (რეგისტრაციის თარიღი)
		2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შემოსავალი	5	23,825
გაყიდვების თვითღირებულება	6(ა)	(29,209)
ზრუტო შემოსავალი		(5,384)
სხვა შემოსავალი		57
ადმინისტრაციული ხარჯები	6(ბ)	(581)
მარკეტინგის ხარჯები	6(გ)	(113)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6(დ)	(930)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		(1,567)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		(6,951)
ფინანსური შემოსავალი		1,529
ფინანსური ხარჯი		(1,709)
წმინდა ფინანსური ხარჯი	8	(180)
ზარალი დაბეგვრამდე		(7,131)
საგადასახადო ხარჯი		-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		(7,131)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 21 იანვარს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელი მოაწერეს:

არჩილ კახიძე

გენერალური დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10-29.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2016 წლის 27 (რეგისტრაციის თარიღი) დეკემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 27 დეკემბერს (რეგისტრაციის თარიღი)	-	-	-
მთლიანი სრული ზარალი			
ზარალი პერიოდის განმავლობაში	-	(7,131)	(7,131)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრებთან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (იხილეთ შენიშვნა 10 (ა))	195	-	195
სულ ოპერაციები კომპანიის მესაკუთრებთან	195	-	195
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	195	(7,131)	(6,936)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-29.

‘000 ლარი	შენიშვნა	2016 წლის 27 დეკემბრიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგვრამდე		(7,131)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია		8
წმინდა ფინანსური ხარჯები		180
		(6,943)
<i>ცვლილებები:</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(100)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		8,394
საგადასახადო ვალდებულებებში		2,301
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე		3,652
გადახდილი პროცენტი		(315)
გადახდილი სამემოსავლო გადასახადი		-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		3,337
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(16)
დამფუძნებლისთვის გაცემული სესხი		(21,268)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(21,284)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა		195
ამონაგები სესხებიდან და კრედიტებიდან		20,152
გადახდილი სესხები და კრედიტები		(3,591)
მიღებული ოვერდრაფტი		1,200
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან		17,956
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებში		9
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		-
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე.		(5)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		4

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-29.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	13. საგადასახადო ვალდებულებები	16
2. მომზადების საფუძველი	11	14. სესხები და კრედიტები	16
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	12	15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	17
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	16. პირობითი ვალდებულებები	20
5. შემოსავალი	13	17. დაკავშირებული მხარეები	20
6. ხარჯები	13	18. საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენები	21
7. პერსონალის ხარჯები	14	19. შეფასების საფუძველი	22
8. წმინდა ფინანსური ხარჯები	14	20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	22
9. გაცემული სესხები	15	21. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	26
10. კაპიტალი	15		
11. კაპიტალის მართვა	15		
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს კოსმოსი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2016 წლის 27 დეკემბერს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ახვლედიანის აღმართი N6 და კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404526866.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ონლაინ თამაშები. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორის პლატფორმას ვებგვერდ - www.adjarabet.com-ის მეშვეობით.

კომპანიის დამფუძნებელია ბატონი თეიმურაზ უგულავა („დამფუძნებელი“), რომელსაც ეკუთვნის კომპანიის საწესდებო კაპიტალის 100%. დამფუძნებელი ფლობს ძალაუფლებას წარმართოს კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ, სარგებლის მიღების მიზნით. დამფუძნებელს ასევე აქვს სხვა ბიზნეს ინტერესები კომპანიის გარეთ.

კომპანიის ფინანსების და ვალდებულებების დიდი ნაწილი დაკავშირებულია დამფუძნებლის კონტროლის ქვეშ არსებულ სხვა კომპანიებთან. შესაბამისად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია ჯგუფზე, რომელსაც დამფუძნებელი აკონტროლებს. ამასთანავე, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული აქციონერის კონტროლის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებთან და კომპანიის სერვისების საფასურის განსაზღვრა ხდება ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებთან ერთად.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს-ები) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა, ისევე, როგორც წარსადგენი ვალუტა, მოცემული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 5 – შემოსავალი;
- შენიშვნა 15(ბ)(iii) – ლიკვიდურობის რისკი და უწყვეტ საწარმოს პრინციპით ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მსჯელობები; და
- შენიშვნა 17 - დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს ისეთი დაშვებები და შეფასების გაურკვევლობები, რომლებიც ატარებს შემდეგ ფინანსურ წელიწადში არსებითი კორექტირების რისკს.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა განხორციელდა შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის.

სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: შემაჯალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 15 - აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

	2016 წლის 27 დეკემბერიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
'000 ლარი	
შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან*	23,825
სულ შემოსავლები ტოტალიზატორის ინტერნეტ თამაშებისგან	23,825

*ონლაინ ტოტალიზატორიდან მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია, როგორც წმინდა მოგება ან ზარალი კლიენტებისთვის განკუთვნილი ბონუსების (827 ათასი ლარი) და „ფრიბეთების“ (1,522 ათასი ლარი) გამოკლებით.

6. ხარჯები

(ა) გაყიდვების თვითღირებულება

	2016 წლის 27 დეკემბერიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
'000 ლარი	
ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი	19,076
საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდება	6,194
ონლაინ ტოტალიზატორის თამაშების საკომისიო	1,940
მარეგულირებელი და სალიცენზიო გადასახადები	1,093
პერსონალის ხელფასები და სარგებელი	906
სულ გაყიდვების თვითღირებულება	29,209

(ბ) ადმინისტრაციული ხარჯები

	2016 წლის 27 დეკემბერიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
'000 ლარი	
გადასახადები, მოგების გადასახადის გამოკლებით	268
ბანკის საკომისიოები	117
პროფესიული მომსახურება	102
მივლინებები	46
საოპერაციო ლიზინგი	29
ცვეთა და ამორტიზაცია	8
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	11
	581

(გ) მარკეტინგის ხარჯები

		2016 წლის 27 დეკემბერიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
'000 ლარი		
ზოგადი მარკეტინგული ხარჯები		74
რეკლამის ხარჯები		39
		113

(დ) სხვა საოპერაციო ხარჯები

		2016 წლის 27 დეკემბერიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
'000 ლარი		
ტექნიკური მხარდაჭერა		425
ფინანსური მომსახურება (შენიშვნა 17(გ)(1))		360
ვებ-გვერდის მომსახურების ხარჯი		142
სხვა ხარჯები		3
		930

ზემოთ აღნიშნული სერვისების მიწოდებას ახორციელებს „Fellow“ შვილობილი კომპანია - შპს ავიატორი (შემდგომში „სერვისის მიმწოდებელი“), იხილეთ შენიშვნა 17 (გ).

7. პერსონალის ხარჯები

		2016 წლის 27 დეკემბერიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
'000 ლარი		
ხელფასები და თანამშრომელთა სარგებლობები		906

8. წმინდა ფინანსური ხარჯები

		2016 წლის 27 დეკემბერიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
'000 ლარი		
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი		1,529
ფინანსური შემოსავალი		1,529
საპროცენტო ხარჯი		(1,703)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით წარმოშობილი წმინდა ზარალი		(6)
ფინანსური ხარჯი		(1,709)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯი		(180)

9. გაცემული სესხები

'000 ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე აქტივები	22,797
დამფუძნებლისთვის გაცემული სესხები*	22,797

*დამფუძნებლისთვის გაცემული სესხი წარმოადგენს ლარში დენომინირებულ არაუზრუნველყოფილ სესხს, რომლის წლიური სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი არის 14%. ხელშეკრულების მიხედვით სესხს ვადა გაუვიდა 2018 წლის მეორე ნახევარში (იხილეთ შენიშვნა 18).

ინფორმაცია კომპანიის საკრედიტო რისკისა და გაცემული სესხიდან გამოწვეული გაუფასურების ზარალის გავლენის შესახებ წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განსაზღვრული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

2016 წლის დეკემბრის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 195 ათასი ლარით, დამფუძნებლის მიერ განხორციელებული ფულადი შენატანის სახით.

(ბ) დივიდენდები

2017 წლის განმავლობაში არ მომხდარა დივიდენდების გამოცხადება.

11. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები მიმწოდებლების მიმართ	256
სხვა ვალდებულებები	62
	318

ინფორმაცია კომპანიის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე, რომლებიც სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან არის დაკავშირებული, განხილულია მე-15 შენიშვნაში.

13. საგადასახადო ვალდებულებები

'000 ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი
ტოტალიზატორის მოგების გადასახადი	2,150
სხვა გადასახადები	151
	2,301

14. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტის მატარებელი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით. ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების შესახებ იხილეთ მე-15 შენიშვნაში.

'000 ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ვალდებულებები	
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	25,226
ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	800
სულ სესხები და კრედიტები	26,026

(ა) სესხის ვადები და დაფარვის გრაფიკი

დარჩენილი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი, 2017 წელი ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი სესხი	ლარი	7.5% + რეფინანსირების განაკვეთი	2018	800	800
ფინანსური ინსტიტუტისგან არაუზრუნველყოფილი სესხი	ლარი	12%	2018	20,930	20,930
დაკავშირებული მხარისგან არაუზრუნველყოფილი სესხი	ლარი	12%	2018	4,296	4,296
დაკავშირებული მხარისგან					
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				26,026	26,026

(ბ) ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილი ფულადი სახსრებისა და ვალდებულებების ცვლილების შეჯერება

'000 ლარი	ბანკის ოვერდრაფტი	სესხები და ვალდებულებები
ნაშთი 2016 წლის 27 დეკემბერს (რეგისტრაციის თარიღი)	-	-
სესხებიდან მიღებული ფულადი ნაკადები*	-	20,152
ბანკის ოვერდრაფტი**	1,200	-
სესხის ძირის გადახდა	-	(3,591)
პროცენტის გადახდა	(48)	(267)
სულ ფულადი სახსრების ცვლილებები ფინანსური საქმიანობიდან	1,152	16,294
საპროცენტო ხარჯი	48	1,655
ვალდებულებების კონვერტირება სესხად*	-	8,077
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	48	9,732
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	1,200	26,026

*სამმხრივი შეთანხმებისა და კომპანიასა და შპს სითი ლოფტს შორის გაფორმებული მოკლევადიანი სესხის ხელშეკრულების თანახმად, მეკავშირე საწარმოს (შპს სქაიკორპი) მიმართ 8,077 ათასი ლარის ოდენობის (იხილეთ შენიშვნა 17 (გ)) ვალდებულება დაკონვერტირდა მეკავშირე საწარმოსგან, შპს სითი ლოფტისგან, მიღებულ სესხად.

**საბანკო ოვერდრაფტის აღება მოხდა ქართული კომერციული ბანკიდან. საბანკო ოვერდრაფტი დაიფარება მოთხოვნისთანავე და ის არ წარმოადგენს კომპანიის ფულადი სახსრების მართვის პროცესის განუყოფელ ნაწილს.

15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი

ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადახდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 15(ბ)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 15(ბ)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 15(ბ)(iv)).

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

გენერალურ დირექტორს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანია მრავალმხრივი ტრენინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი როლი და ვალდებულებები.

დამფუძნებელი ზედამხედველობას უწევს, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების მაქსიმალური საკრედიტო რისკი სააღრიცხვო თარიღისთვის არის შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერი
'000 ლარი	
გაცემული სესხები	22,797
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	100
	22,897

მოთხოვნები დამფუძნებლის მიმართ

კომპანიის მიერ სესხის გაცემა მოხდა ბატონ თეიმურაზ უგულავაზე, რომელიც წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებელს. ხელმძღვანელობა თვლის რომ გაცემული სესხი არ ასოცირდება დამატებით საკრედიტო რისკებთან.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულებები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულებების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

2017 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობამ მოახდინა ერთობლივი ფინანსური მაჩვენებლების და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. კომპანიის საოპერაციო შედეგები 2016 წლის 27 დეკემბრიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე იყო უარყოფითი. ამასთანავე, 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიას გააჩნია წმინდა ვალდებულება ლიკვიდურობის პოზიციაში. შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ კომპანიას ექნება საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაფარად, და რომ ხელმძღვანელობის შეფასება საწარმოს უწყვეტობის პრინციპის შესახებ წარდგენის თარიღისთვის სათანადოა.

ხელმძღვანელობის დაშვება ეფუძნება შემდეგ ფაქტებს:

- დამფუძნებელმა გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური და სხვა ტიპის მხარდაჭერა. დამფუძნებლის პირდაპირი კონტროლის ქვეშ იმყოფება რამდენიმე ბიზნეს საწარმო, რომლებიც ოპერირებენ ინტერნეტ პლატფორმის - www.adjarabet.com-ის მეშვეობით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა ბიზნეს საწარმოების ერთობლივი ფინანსური მაჩვენებლები აკომპენსირებს კომპანიის უარყოფით ფინანსურ შედეგებს.
- ხელმძღვანელობის გეგმის თანახმად, კომპანია განაგრძობს საქმიანობას მომავალშიც, იმ მიზნით, რომ მომხმარებლებს მიაწოდოს ონლაინ თამაშების სრული სერვისი ვებგვერდ www.adjarabet.com-ის საშუალებით.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები მოიცავს ფინანსური ვალდებულებების გადახდების კონტრაქტით გათვალისწინებულ ხანდაზმულობას ანგარიშგების თარიღისთვის. თანხები წარმოდგენილია ბრუტო საფუძველზე, და გამორიცხავს დისკონტირებისა და ურთიერთთანხმობის გავლენას.

31 დეკემბერი, 2017 წელი

'000 ლარი	საბალანსო ლირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	318	318	-	318	-
საბანკო ოვერდრაფტი	1,200	1,200	1,200	-	-
სესხები და კრედიტები	26,026	28,634	-	5,323	23,311
	27,544	30,152	1,200	5,641	23,311

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ გააჩნია არსებითი დამოკიდებულება სავალუტო რისკის მიმართ, რადგან კომპანიის ბალანსზე არ არის წარმოდგენილი არსებითი სავალუტო ნაშთები, ან ფინანსური ინსტრუმენტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ძირითად იქონიებს გავლენას გაცემულ სესხების და მიღებული სესხებისა და კრედიტების ბალანსზე, მათ სამართლიან ღირებულებაზე (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში) ან მომავალ ფულად ნაკადებზე (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში). ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნაშთების რაოდენობრივ თანაფარდობას. თუმცა, სესხის მოზიდვის მომენტში ხელმძღვანელობა ატარებს წინასწარ ანალიზს, იმ მიზნით რომ დადგინდეს თუ როგორი საპროცენტო განაკვეთი იქნება მეტად მომგებიანი კომპანიისთვის სესხის მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება 2017
ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტები	
ფინანსური აქტივები	22,797
ფინანსური ვალდებულებები	(26,426)
	(3,629)
ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტები	
ფინანსური ვალდებულებები	(800)
	(800)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტებისთვის

კომპანია ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტებს არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან გასაყიდად განკუთვნილ კატეგორიაში. ამგვარად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას გავლენა არ ექნებოდა მოგებაზე ან ზარალზე, ან კაპიტალზე.

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადი განაკვეთის ინსტრუმენტებისთვის

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება 100 საბაზისო პუნქტით გაზრდიდა/(შემცირდებოდა) კაპიტალსა და მოგება ან ზარალს დაბეგვრადმდე 8 ათასი ლარის ოდენობით.

16. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, საგადასახადო წელი შეიძლება ღია დარჩეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

17. დაკავშირებული მხარეები

(ა) დამფუძნებელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიას სრულად ფლობს ბატონი თეიმურაზ უგულავა.

(ბ) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რისი ხარჯიც სრულად გაწია საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ არსებულმა დაკავშირებულმა საწარმომ.

’000 ლარი

ხელფასები და ბონუსები

2017 წელი

222

222

(გ) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

’000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 2016 წლის 27 დეკემბრიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს
სერვისების მიწოდება:		
მეკავშირე საწარმო - შპს ავიატორი*	(502)	(93)
მეკავშირე საწარმო - შპს სქაიკორპი**	(8,077)	(4)
სხვა	(59)	(46)
გაცემული სესხები:		
აქციონერისთვის გაცემული სესხი	21,268	22,797
მიღებული სესხები:		
საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს დაქვემდებარებული კომპანია	(17,654)	(25,226)

ცხრილში წარმოდგენილი ნაშთები არ არის უზრუნველყოფილი. არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების მოთხოვნების მიმართ გაუფასურების რეზერვების გამოყენება.

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება მეკავშირე საწარმოსთან - შპს ავიატორთან (სერვისის მომწოდებელი), რომლის ფარგლებშიც იღებს შემდეგ მომსახურებებს:

- 1) ფინანსური მომსახურება - შპს ავიატორი უზრუნველყოფს მომხმარებელთა ფსონებისა და მოგებების ასახვას; კომპანია ახორციელებს მომხმარებლებისთვის მოგებების განაწილებასა და წმინდა რეზულტატების მეკავშირე საწარმოსთან გადარიცხვას, თვეში 30 ათასი ლარის ფიქსირებული გადასახადის სანაცვლოდ.
- 2) დომეინის და ვებ გვერდის გამოყენება - შპს ავიატორმა კომპანიას გადასცა დომეინის <http://bookmakers.adjarabet.com> და ვებ-გვერდის www.adjarabet.com გამოყენების ნებართვა ყოველთვიური 12 ათასი ლარის გადასახადის სანაცვლოდ.

შპს ავიატორი წარმოადგენს კომპანიის აგენტს, რომელიც აღრიცხავს ონლაინ ტოტალიზატორის რეზულტატებს და კომპანიას გადასცემს ონლაინ ტოტალიზატორის თამაშების წმინდა მოგებას. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის გადაცემული თანხა შეადგენს 23,825 ათას ლარს.

** კომპანია ყიდულობს საბუკმეიკერო ინფორმაციას მეკავშირე საწარმოსგან - შპს სქაიკორპისგან.

18. საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენები

2018 წლის 18 სექტემბერს კომპანია სხვა მეკავშირე კომპანიებთან ერთად გახდა 100 მილიონი აშშ დოლარის გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მხარე სს საქართველოს ბანკთან. საკრედიტო ხაზის ვადიანობა განისაზღვრება 2030 წლამდე. ხელშეკრულების რომელიმე მხარის დეფოლტის შემთხვევაში, საკრედიტო ხაზის მიმღებ კომპანიებს ეკისრებათ ერთობლივი ვალდებულება, რომ დაფარონ ამ დროისთვის ჯამურად ათვისებული თანხა. საკრედიტო ხაზის მიღება მოხდა საბაზრო პირობებით, გაშლილი ხელის პრინციპის დაცვით, ყოველგვარი პრემიუმის გარეშე.

2018 წლის 31 ივლისს გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულების თანახმად, დამფუძნებლისთვის გაცემული სესხი გაიქვითა მეკავშირე კომპანიისგან, შპს სითი ლოფტისგან, მიღებულ სესხთან.

2018 წლის 18 სექტემბერს საბანკო ოვერდრაფტი და ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხის რეფინანსირება მოხდა მეკავშირე საწარმოს მიერ.

19. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) შემოსავალი

(i) შემოსავალი

ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებით მიღებული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია გაკეთებული ფსონებიდან წმინდა მოგების ან ზარალის სახით, წამახალისებელი ხარჯების და ბონუსების გამოკლებით. კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებულ ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღიარებით და აღირიცხება შემოსავალში კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები აღრიცხულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, ისევე როგორც დასრულებული პოზიციებიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, აღრიცხულია შემოსავალში. ონლაინ ტოტალიზატორის შემოსავალს გამოკლებულია მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეტების“) და ბონუსების ხარჯები. შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს დაქვითვის შემდგომ.

(ბ) გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდვების თვითღირებულება ძირითადად მოიცავს აზარტული თამაშების გადასახადებს (ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი), საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლებს, ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოებს (საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლები და ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოები შეიცავს უკუდაბეგვრის დღგ-ს და არარეზიდენტის გადასახადს, რომლებიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება) და პირდაპირ დარიცხულ ხელფასს. ლიცენზიების ხარჯი წარმოდგენილია საცალო საბუკმეიკერო ხარჯების და აზარტული თამაშების ლიცენზიების შესყიდვის ხარჯის სახით.

(გ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს:

- ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე სავალუტო მოგებას ან ზარალს

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის მიხედვით მოძრაობები უცხოურ ვალუტაში წმინდა მოგების პოზიციაშია, თუ წმინდა წაგების.

(დ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

არაფულადი მუხლები, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, კონვერტირდება ტრანზაქციის განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ისტორიულ საფუძველზე ფასდება კონვერტირდება ოპერაციის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ე) თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა ხელფასების, შვებულების, საავადმყოფო ბიულეტენის ხარჯის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც მოხდა თანამშრომელთა მიერ მომსახურების გაწევა. კომპანიას არ აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს პენსია ან მსგავსი სარგებელი.

(გ) მოგების გადასახადი

(ი) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ლიმიტებში წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღირიცხავს სხვა გადასახადების მუხლში.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(iii) ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი

გადასახადი აზარტულ თამაშებზე წარმოადგენს დარიცხულ თანხებს საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებშიც საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ბუნდოვანია.

ონლაინ ტოტალიზატორზე მიღებული ფსონების შემოსავალი იბეგრება მოგების გადასახადით, რომელიც წარმოადგენს 7%-ს ბრუტო შემოსავალიდან (ანუ მიღებული ფსონებიდან) 2017 წლის განმავლობაში.

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

(iv) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

კომპანია არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში.

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აღირიცხავს.

(v) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სესხებს და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ის ფინანსურ აქტივზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების უფლებას გადასცემს ოპერაციაში, რომელშიც ხდება ფინანსური აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკის გადაცემა. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია, აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია წვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მას შემდეგ, რაც დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაიქვითება, ხოლო წარმოდგენილი წმინდა თანხები აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას ექნება სამართლებრივი უფლება გაქვითოს თანხები და ექნება სურვილი მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები განეკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლის კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დანახარჯების დამატებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და მიმდინარე ანგარიშებს რომლებიც დაცულია ბანკებში დაფარვის ვადით მათი შეძენის თარიღიდან სამი თვე ან ნაკლები.

(vi) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციული დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, საბანკო ოვერდრაფტს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(თ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში

(ი) საკრედიტო გარანტიები

კომპანია მესამე მხარესთან გაფორმებულ გარანტიის კონტრაქტებს განიხილავს, როგორც მესამე მხარის ვალდებულების სადაზღვევო გარიგებას და აღრიცხავს შესაბამისად. ამიტომ, კომპანია გაცემულ გარანტიებს აღრიცხავს როგორც პირობით ვალდებულებას, მანამ სანამ დადგება ვითარება, რომელიც ცხადყოფს, რომ კომპანიის მხრიდან მოსალოდნელია გარანტიის ფარგლებში თანხის გადახდა.

21. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან, სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

(ა) ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, *ბასს 18 (შემოსავალი)*, *ბასს 11 (სამშენებლო ხელშეკრულებები)* და *ფასიკ 13 (კლიენტების ლოიალურობის პროგრამები)*.

ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვრიდან და შემდგომ პერიოდებში.

(i) მომსახურება

ფასს 15-ის ფარგლებში, საქონლის გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული მთლიანი გადახდები გადანაწილდება ყველა მომსახურების და საქონლის ინდივიდუალურ გასაყიდ ღირებულებაზე დაყრდნობით. ინდივიდუალური გასაყიდი ფასები განისაზღვრება იმ ფასების მიხედვით, რომლითაც კომპანია ყიდის საქონელს ინდივიდუალურ ოპერაციაში.

კომპანია არ მოელის, რომ ფასს 15-ის გამოყენება გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობებს ამგვარ მომსახურებებთან და საქონელთან მიმართებაში აღიარებული შემოსავლის ვადებში და რომ ფასს 15-ის გამოყენებას ექნება არსებითი ეფექტი შემოსავლის აღიარებაზე.

კომპანიის შემოსავალი ტოტალიზატორის თამაშებიდან არ ხვდება ფასს 15-ის არეალში, ამიტომ მოსალოდნელი არ არის რომ ფასს 15-ის ძალაში შესვლას არსებითი გავლენა ექნება შემოსავლების აღრიცხვაზე.

(ii) გარდამავალი პერიოდი

კომპანია გეგმავს ფასს 15-ის მიღებას კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველად ხსენებული სტანდარტის კაპიტალში ასახვით 2018 წლის 1 იანვარს. შედეგად, კომპანია არ გამოიყენებს ფასს 15-ის მოთხოვნებს წარმოდგენილ შესადარის პერიოდთან მიმართებაში. ამგვარი ცვლილება სრულად იქნება ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც უნდა მომზადდეს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

(ბ) ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) განსაზღვრავს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, ასევე არაფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვის რამდენიმე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*).

(i) კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივები

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირებისა და შეფასების ახალ მიდგომას ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ასახავენ იმ ბიზნეს მოდელს, რომლის ფარგლებში ხდება ფინანსური აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ის აუქმებს არსებულ ბასს 39-ის დაფარვამდე ფლობილის, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, ისეთ ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, არ განცალკევდება. ამის ნაცვლად, კლასიფიკაციისთვის მთლიანობაში ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი.

მისი შეფასების საფუძველზე, კომპანია არ მოელის, რომ კლასიფიკაციის ახალ მოთხოვნებს არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსური აქტივებთან დაკავშირებულ ანგარიშგებაზე.

(ii) გაუფასურება - ფინანსური აქტივები და სახელშეკრულებო აქტივები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ში არსებულ 'განცდილი საკრედიტო ზარალის' მოდელს, მომავალზე ორიენტირებული 'მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის' მოდელით. ეს მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე დაფუძნებულ საფუძველზე.

გაუფასურების ახალი მოდელი გამოიყენება ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციებისა და სახელშეკრულებო აქტივებისა.

ფასს 9-ის ფარგლებში, ზარალის რეზერვები შეფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთერთის საფუძველზე:

- 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც იწვევს შესაძლო დეფოლტის შემთხვევებს ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის მოსალოდნელი ზარალი, რომელიც იწვევს დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ადგილი აქვს, თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო ზარალი ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის მნიშვნელოვნად შემცირდება მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და თუ ამგვარ შემცირებას ადგილი არ ექნება გამოიყენება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, თუ ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის აქტივს დაბალი საკრედიტო რისკი ახასიათებს. ამასთან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის შეფასება ყოველთვის გამოიყენება სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე.

კომპანიამ შეაფასა, რომ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვარს არ გამოიწვევს ბასს 39-ის ფარგლებში აღიარებული გაუფასურების არსებით ზრდას.

(iii) კლასიფიკაცია - ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

თუმცა, ბასს 39-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება, რომელიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, მოგებაში ან ზარალში ასახვით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, რადგან ფასს 9-ის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების ამგვარი ცვლილება ზოგადად შემდეგი სახით აღირიცხება:

- სამართლიანი ღირებულების ცვლილების თანხა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას უკავშირდება, სხვა სრულ შემოსავალში აღირიცხება; ხოლო
- სამართლიანი ღირებულების ცვლილების დანარჩენი თანხა აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, მოგებაში ან ზარალში ასახვით და მას არ აქვს ამგვარი განზრახვა. კომპანიის შეფასება არ მოიცავს რაიმე არსებით გავლენას ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით 2018 წლის 1 იანვრისთვის.

(iv) განმარტებები

ფასს 9 მოითხოვს ახალ ვრცელ განმარტებებს, კერძოდ საკრედიტო რისკთან და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებაში. კომპანიის წინასწარი შეფასება მოიცავდა მონაცემებში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების ანალიზს მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში და კომპანია გეგმავს სისტემის და საკონტროლო მექანიზმების ცვლილების განხორციელებას, რომელიც, მისი აზრით, საჭირო იქნება მოთხოვნილი მონაცემების მისაღებად.

(v) გარდამავალი პერიოდი

კომპანია გამოიყენებს ახალ სტანდარტზე გადასვლის მოდიფიცირებულ რეტროსპექტიულ მიდგომას და არ წარადგენს წინა პერიოდების გადაანგარიშებულ შესადარის ინფორმაციას. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები, რომლებიც ფასს 9-ის მიღებით წარმოიშვებიან, აღიარდება გაუნაწილებელი მოგების და რეზერვების კატეგორიაში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(გ) ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

ეს სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე.

ფასს 16 განსაზღვრავს საბალანსო ერთჯერად, საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამოწვევის მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარის სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

კომპანიას არ დაუსრულებია მის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის მიღებით გამოწვეული პოტენციური გავლენის ანალიზი. ფასს 16-ის გამოყენების ფაქტიური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ შორის 2019 წლის 1 იანვარს კომპანიის საკრედიტო განაკვეთზე, კომპანიის საიჯარო პორტფელის შემადგენლობაზე მოცემული თარიღისთვის, „კომპანიის“ მიერ განხორციელებულ ბოლო შეფასებაზე იმასთან დაკავშირებით, ისარგებლებს ის თუ არა რაიმე სახის იჯარის განახლების ფუნქციით და ასევე „კომპანიის“ მიერ პრაქტიკული ჩანაწერებისა და აღიარებების გათავისუფლების გამოყენებისთვის შერჩეულ დიაპაზონზე.

გარდამავალი ეტაპი

როგორც მოიჯარე, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს სტანდარტი

- რეტროსპექტიული მიდგომის გამოყენებით, ან
- მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომის გამოყენებით შერჩევითი პრაქტიკული მიზანშეწონილობით.

მოიჯარე ყველა მის იჯარასთან მიმართებაში თანმიმდევრულად იყენებს შერჩევის ფუნქციას.

კომპანია გეგმავს ფასს 16-ის თავდაპირველ გამოყენებას 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომის გამოყენებით. შესაბამისად, ფასს 16-ის მიღების კუმულაციური ეფექტი აღიარდება 2019 წლის 1 იანვარს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ბალანსის ცვლილების სახით, შესადარისი ინფორმაციის აღდგენის გარეშე.

ბასს 17-ის ფარგლებში საოპერაციო იჯარების სახით კლასიფიცირებულ იჯარებზე მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომის გამოყენებისას, მოიჯარეს შეუძლია თითოეული იჯარის საფუძველზე შეარჩიოს გამოიყენოს თუ არა პრაქტიკული მიზანშეწონილობის რაოდენობა გარდამავალ პერიოდში. „კომპანია“ აფასებს ამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენების პოტენციურ გავლენას.

კომპანიას არ მოეთხოვება რაიმე სახის ცვლილების განხორციელება იჯარებისთვის, რომელშიც ის მეიჯარეა, გარდა შემთხვევებისა, სადაც ის ქვეიჯარის შუალედური მეიჯარეა.

არ არის მოსალოდნელი, რომ შემდეგი განახლებული სტანდარტებსა და ინტერპრეტაციების ექნებათ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს-ის წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 ციკლი - დამატებები ფასს 1-სა და ბასს 28-ზე
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 2-ის დამატებები)
- საინტეგრატიო ქონების გადაცემები (ბასს 40-ის დამატებები)
- აქტივების რეალიზაცია ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის (ფასს 10-ის და ბასს 28-ის დამატებები)
- ფასიკ 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად
- ფასიკ 23 - მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობები



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

შპს კოსმოსი

ახვლედიანის აღმართი N10ა

ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/1/010/19

27/02/2019

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2019 წლის 22 თებერვალს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2019 წლის 22 თებერვლით, გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2019 წლის 21 იანვარს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2019 წლის 21 იანვრის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი

აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი

შპს „KPMG Georgia“



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

შპს კოსმოსი

ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/1/010/19

ახვლედიანის აღმართი N10ა

27/02/2019

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2019 წლის 22 თებერვალს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2019 წლის 22 თებერვლით, გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2019 წლის 21 იანვარს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2019 წლის 21 იანვრის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი

აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი

შპს „KPMG Georgia“



კომპანია კოსმოსის მმართველობის ანგარიშგება

2017 წელი

სარჩევი

1. კომპანიის შესახებ	2
1.1 ორგანიზაცია.....	2
1.2 მფლობელები.....	2
2. სეგმენტი და მისი ძირითადი მოთამაშეები	2
2.1 სათამაშო ბიზნესი.....	2
2.2 კომპანიის საქმიანობა.....	3
3. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები	3
4. კომპანიის განვითარების გეგმები და სტატეგია	5
4.1 კლიენტთა მომსახურების გაუმჯობესება.....	5
4.2 ეფექტურობა	5
4.3 საერთაშორისო განვითარება	5
5. ფინანსური მაჩვენებლები.....	6
5.1 კოეფიციენტები	6
5.2 შემოსავლების სტრუქტურა	7
5.3 გაყიდვების თვითღირებულების სტრუქტურა.....	7
6. კომპანიის ძირითადი რისკები	8
7. კომპანიის თანამშრომლები.....	9

1. კომპანიის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

შპს კოსმოსი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 27 დეკემბერს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ახვლედიანის აღმართი N6 და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 404526866.

კომპანია ოპერირებს სათამაშო ბიზნესში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი საქმიანობა სრულად რეგულირდება შპს კოსმოსის ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის (N19-05/284) საფუძველზე.

კომპანიის მიერ შეთავაზებული ძირითადი პროდუქტი არის ონლაინ ტოტალიზატორი. კომპანია საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ თამაშების პლატფორმას ინტერნეტ ვებ-გვერდის - www.adjarabet.com-ის მეშვეობით.

შპს კოსმოსის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, თ. ჭოველიძის ქუჩა №10ა ნომერში.

1.2 მფლობელები

2017 წლის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებელია ბატონი თეიმურაზ უგულავა („დამფუძნებელი“), რომელსაც ეკუთვნის კომპანიის საწესდებო კაპიტალის 100%. კომპანიის ფინანსების და ვალდებულებების დიდი ნაწილი დაკავშირებულია დამფუძნებლის კონტროლის ქვეშ არსებულ სხვა კომპანიებთან. შესაბამისად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია ჯგუფზე, რომელსაც დამფუძნებელი აკონტროლებს. ამასთანავე, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული მესაკუთრის კონტროლის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებთან და კომპანიის სერვისების საფასურის განსაზღვრა ხდება ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებთან ერთად. კომპანიის გენერალური დირექტორია არჩილ კახიძე.

2. სეგმენტი და მისი ძირითადი მოთამაშეები

2.1 სათამაშო ბიზნესი

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება.

აზარტული თამაშების ბიზნესი საქართველოში საკმაოდ კარგად არის განვითარებული და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია.

ბაზარზე მსხვილი ოპერატორები არიან „აჭარაბეთი“ (წარმოდგენილი შპს ავიატორის და შპს კოსმოსის მიერ) რომელიც არის ბაზრის ლიდერი, კრისტალბეთი (შპს მარსი) და ევროპაბეთი (შპს ჩემპიონები111)

2.2 კომპანიის საქმიანობა

როგორც უკვე ვახსენეთ ძირითადი პროდუქტი, რომელსაც კომპანია სთავაზობს მომხმარებლებს ვებგვერდ www.adjarabet.com –ის საშუალებით არის: ონლაინ ტოტალიზატორი.

რაც შეეხება კაზინოსა და peer-to-peer თამაშების ნაწილს, რომელიც ასევე წარმოდგენილია ვებგვერდზე, მისი მფლობელია შპს ავიატორ.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, შპს კოსმოსი არის ერთ-ერთი კომპანია, რომელიც „აჭარაბეთი“-ს ბრენდის ქვეშ ფუნქციონირებს.

“აჭარაბეთი” საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული, ინოვაციური, სრულყოფილი და დაცული სათამაშო პორტალია. იგი იყო პირველი საქართველოში, რომელმაც მომხმარებლებს ფსონების ონლაინ განთავსების შესაძლებლობა მისცა. ბრენდი 1998 წელს შეიქმნა და დღემდე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს სწრაფი გადახდებისა და მომხმარებლების შესანიშნავი მომსახურების უზრუნველყოფის გზით.

3. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ კომპანიას და საგადასახადო პოლიტიკა და სტრუქტურაც განისაზღვრება მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

შპს კოსმოსმა 2017 წლისთვის ბიუჯეტში ჯამურად 18 მილიონი ლარი შეიტანა.

კომპანიის საქმიანობებისთვის ძირითადად რელევანტურია:

სათამაშო ბიზნესის გადასახადები - როგორც უკვე აღინიშნა, კომპანია ფლობს ყველა საჭირო ნებართვას, რომ განახორციელოს ბიზნეს საქმიანობა. სათამაშო ბიზნესის სფეროში ნებართვები გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის ორგანიზებისათვის ცალკე ნებართვა არ გაიცემა. იმისათვის, რომ მოეწიოს სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობა, საჭიროა რეალური ობიექტის არსებობა. კოსმოსის შემთხვევაში ეს ობიექტია მიწის კაზინო, რომელიც მდებარეობს სტეფანწმინდაში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

ნებართვის სახე	ნებართვის ნომერი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	მისამართი
ტოტალიზატორის მოწყობის ლიცენზია	19-05/284	28-დეკ-2016	27-დეკ-2021	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, გორგასალის ქN1, პირველი სართული, დარბაზი N3

სათამაშო ბიზნესს არეგულირებს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი; 2. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი; 3. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშოების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი; 4. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი; 5. „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშოების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“; 6. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის N611-1013 ერთობლივი ბრძანება; 7. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობი (ორგანიზატორი) პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების და „სამორინეების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 28 ივლისის N94 ბრძანება.

ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი - ონლაინ ტოტალიზატორზე მიღებული ფსონების შემოსავალი იბეგრება მოგების გადასახადით, რომელიც წარმოადგენს 7%-ს ბრუტო შემოსავლიდან (ანუ მიღებული ფსონებიდან) 2017 წლის განმავლობაში.

საშემოსავლო გადასახადი - დაქირავებულ პირთათვის ხელფასის სახით ანაზღაურების გაცემისას, ასევე ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირების მომსახურების ანაზღაურებისას კომპანიები აკავებენ საშემოსავლო გადასახადს 20% ოდენობით; არარეზიდენტის შემოსავალი შესაძლებელია დაექვემდებაროს დაბეგვრას გადახდის წყაროსთან 15%-იანი, 10%-იანი და 5%-იანი განაკვეთით, ამასთან გაითვალისწინება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები და მათი გამოყენების წესი.

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი) - კომპანიები ახორციელებენ 18%-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ოპერაციებს, ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებულ ოპერაციებსა და ოპერაციებს, რომლებიც არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრად.

ქონების გადასახადი - კომპანიის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მათ მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე კომპანია იხდის ქონების გადასახადს საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან არა უმეტეს 1% ოდენობით;

4. კომპანიის განვითარების გეგმები და სტატეგია

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს სტრატეგიების შეფასებისა და შემუშავების პროცესი. სწორი სტრატეგიის შემუშავებისათვის მთავარი ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს არის არსებული სიტუაციისა და საფრთხეების ანალიზი, და დასახული მიზნების მისაღწევად კონკრეტული ამოცანების ჩამოყალიბება.

სიტუაციის ანალიზის საფუძველზე ორგანიზაციის შიგნით არსებული ღირებულებების, რესურსების, ხედვებისა და მიზნების სწორად მიმართვით, ორგანიზაცია ცდილობს გაიმყაროს გრძელვადიან პერიოდში წარმატებული არსებობა.

ამის შედეგად, კომპანიის განვითარება სამი მიმართულებით შეგვიძლია განვიხილოთ:

4.1 კლიენტთა მომსახურების გაუმჯობესება

ბაზარზე ლიდერის პოზიციის შესანარჩუნებლად კომპანია მუდმივად ზრუნავს პროდუქტების განვითარებაზე. უახლოეს მომავალში იგეგმება სპორტის პლატფორმის სრული განახლება.

4.2 ეფექტურობა

კომპანია აქცენტს აკეთებს სამუშაო სტანდარტების ამაღლებასა და ეფექტიან და ხარისხიან მუშაობაზე. ამის შესაბამისად, 2018 წლიდან კომპანია გეგმავს დანერგოს რესურსების მართვის სისტემა – Microsoft Dynamics NAV, რომელიც გახლავთ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ERP სისტემა. 1983 წლიდან Microsoft Dynamics NAV (ყოფილი სახელწოდებით Navision) უზრუნველყოფს ინოვაციურ ფუნქციონალურობას, შესაძლებლობებსა და გადაწყვეტილებების მაღალ ხარისხს, რაც ახდენს ბიზნესის სტიმულირებას მსოფლიო მასშტაბით. კომპანია გამოიყენებს სისტემის ყველა შესაძლო მოდულს, როგორც არის: ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვა, ადამიანური რესურსები, ბიუჯეტირება ა.შ.

4.3 საერთაშორისო განვითარება

ზემოთხსენებული გეგმების გარდა კომპანია მუშაობს საერთაშორისო მსხვილ ოპერატორებთან პარტნიორობის საკითხზეც.

5. ფინანსური მაჩვენებლები

5.1 კოეფიციენტები

წლისათვის (ლარში '000)		2017
შემოსავალი		23,825
EBITDA	-	6,943
EBIT	-	6,951
წმინდა ზარალი	-	7,131
საოპერაციო საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრები		3,337
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		16

წლის ბოლოსთვის (ლარში '000)	
ჯამური აქტივები	22,909
ჯამური ვალდებულება	29,845
ჯამური კაპიტალი	- 6,936

ფინანსური კოეფიციენტები	
EBITDA-ს მარჟა	-29%
წმინდა მოგების მარჟა	-30%
საოპერაციო საქმიანობის კოეფიციენტი	14%

გამოთვლები:

EBIT გამოითვლება საოპერაციო საქმიანობით მიღებულ წმინდა შემოსავალს დამატებული ძირითადი საშუალებების ცვეთა.

EBITDA გამოითვლება საოპერაციო საქმიანობით მიღებულ წმინდა შემოსავალს დამატებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, ასევე დამატებული ძირითადი საშუალებების გაუფასურება.

5.2 შემოსავლების სტრუქტურა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ონლაინ თამაშები. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორის პლატფორმას ვებგვერდის - www.adjarabet.com-ის მეშვეობით.

ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებით მიღებული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია გაკეთებული ფსონებიდან წმინდა მოგების ან ზარალის სახით, წამახალისებელი ხარჯების და ბონუსების გამოკლებით.

კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებულ ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღიარებით და აღირიცხება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები აღრიცხულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, ისევე როგორც დასრულებული პოზიციებიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, აღრიცხულია შემოსავალში. ონლაინ ტოტალიზატორის შემოსავალს გამოკლებულია მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების“) და ბონუსების ხარჯები. შემოსავალი აღიარებულია დღე-ს დაქვითვის შემდგომ.

5.3 გაყიდვების თვითღირებულების სტრუქტურა

რაც შეეხება გაყიდვების თვითღირებულებას, ის ძირითადად მოიცავს აზარტული თამაშების გადასახადებს (ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი), საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლებს, ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოებს (საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლები და ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოები შეიცავს უკუდაბეგვრის დღე-ს და არარეზიდენტის გადასახადს, რომლებიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება) და პირდაპირ დარიცხულ ხელფასს. ლიცენზიების ხარჯი წარმოდგენილია საცალო საბუკმეიკერო ხარჯების და აზარტული თამაშების ლიცენზიების შესყიდვის ხარჯის სახით.

6. კომპანიის ძირითადი რისკები

სათამაშო ბაზრისა და ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, შპს კოსმოსისთვის რელევანტურია შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვა კომპანიას შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუმცა, გამომდინარე ამ მოთხოვნების სპეციფიკიდან და მისი მაღალი ლიკვიდურობიდან, მენეჯმენტი თვლის, რომ საკრედიტო რისკი ამ კუთხით მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

2017 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობამ მოახდინა ერთობლივი ფინანსური მაჩვენებლების და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. კომპანიის საოპერაციო შედეგები 2016 წლის 27 დეკემბრიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2017 წლის 31 დეკემბრამდე იყო უარყოფითი. ამასთანავე, 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიას გააჩნია წმინდა ვალდებულება ლიკვიდურობის პოზიციაში. შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ კომპანიას ექნება საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაფარად და რომ ხელმძღვანელობის შეფასება საწარმოს უწყვეტობის პრინციპის შესახებ წარდგენის თარიღისთვის სათანადოა.

ხელმძღვანელობის დაშვება ეფუძნება შემდეგ ფაქტებს:

- დამფუძნებელმა გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური და სხვა ტიპის მხარდაჭერა

- დამფუძნებლის პირდაპირი კონტროლის ქვეშ იმყოფება რამდენიმე ბიზნეს საწარმო, რომლებიც ოპერირებენ ინტერნეტ პლატფორმის - www.adjarabet.com-ის მეშვეობით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა ბიზნეს საწარმოების ერთობლივი ფინანსური მაჩვენებლები აკომპენსირებენ კომპანიის უარყოფით ფინანსურ შედეგებს
- ხელმძღვანელობის გეგმის თანახმად, კომპანია განაგრძობს საქმიანობას მომავალშიც, იმ მიზნით, რომ მომხმარებლებს მიაწოდოს ონლაინ თამაშების სრული სერვისი ვებგვერდის - www.adjarabet.com-ის საშუალებით

2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ გააჩნია არსებითი დამოკიდებულება სავალუტო რისკის მიმართ, რადგან კომპანიის ბალანსზე არ არის წარმოდგენილი არსებით სავალუტო ნაშთები, ან ფინანსური ინსტრუმენტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ძირითადად გავლენას იქონიებს გაცემული და მიღებული სესხებისა და კრედიტების ბალანსზე, მათ სამართლიან ღირებულებაზე (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში) ან მომავალ ფულად ნაკადებზე (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში). ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნაშთების რაოდენობრივ თანაფარდობას. თუმცა, სესხის მოზიდვის მომენტში ხელმძღვანელობა ატარებს წინასწარ ანალიზს, იმ მიზნით რომ დადგინდეს, თუ როგორი საპროცენტო განაკვეთი იქნება მეტად მომგებიანი კომპანიისთვის სესხის მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

7. კომპანიის თანამშრომლები

2017 წლის ბოლოს შპს კოსმოსში საშუალოდ დასაქმებული იყო 16 ადამიანი.

შპს კოსმოსი ორიენტირებულია თანამშრომლების კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 2017 წელს თანამშრომელთა ნაწილმა მიიღო როგორც პროფესიული უნარების გაუმჯობესების, ასევე სამაგისტრო და სასერტიფიკატო პროგრამების დაფინანსება.

არჩილ კახიძე

გენერალური დირექტორი

- დამფუძნებლის პირდაპირი კონტროლის ქვეშ იმყოფება რამდენიმე ბიზნეს საწარმო, რომლებიც ოპერირებენ ინტერნეტ პლატფორმის - www.adjarabet.com-ის მეშვეობით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა ბიზნეს საწარმოების ერთობლივი ფინანსური მაჩვენებლები აკომპენსირებენ კომპანიის უარყოფით ფინანსურ შედეგებს
- ხელმძღვანელობის გეგმის თანახმად, კომპანია განაგრძობს საქმიანობას მომავალშიც, იმ მიზნით, რომ მომხმარებლებს მიაწოდოს ონლაინ თამაშების სრული სერვისი ვებგვერდის - www.adjarabet.com-ის საშუალებით


2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ გააჩნია არსებითი დამოკიდებულება სავალუტო რისკის მიმართ, რადგან კომპანიის ბალანსზე არ არის წარმოდგენილი არსებით სავალუტო ნაშთები, ან ფინანსური ინსტრუმენტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ძირითადად გავლენას იქონიებს გაცემული და მიღებული სესხებისა და კრედიტების ბალანსზე, მათ სამართლიან ღირებულებაზე (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში) ან მომავალ ფულად ნაკადებზე (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში). ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნაშთების რაოდენობრივ თანაფარდობას. თუმცა, სესხის მოზიდვის მომენტში ხელმძღვანელობა ატარებს წინასწარ ანალიზს, იმ მიზნით რომ დადგინდეს, თუ როგორი საპროცენტო განაკვეთი იქნება მეტად მომგებიანი კომპანიისთვის სესხის მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

7. კომპანიის თანამშრომლები

2017 წლის ბოლოს შპს კოსმოსში საშუალოდ დასაქმებული იყო 16 ადამიანი.

შპს კოსმოსი ორიენტირებულია თანამშრომლების კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 2017 წელს თანამშრომელთა ნაწილმა მიიღო როგორც პროფესიული უნარების გაუმჯობესების, ასევე სამაგისტრო და სასერტიფიკატო პროგრამების დაფინანსება.


 არჩილ კახიძე
 გენერალური დირექტორი